Conflict Resolution and Peacebuilding Historical Archive of Georgia, by ICCN

საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი 2008 წ.
http://www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1329&info_id=21604

ქართული შრიფტი

რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისის ხელმძღვანელობა:

დავითაია პაატა - თავმჯდომარე

წევრები

1. **გაბაშვილი გიორგი**
2. **გოგორიშვილი ხათუნა**
3. **გოგუაძე გია**
4. **ვეფხვაძე ლევანი**
5. **თარგამაძე გიორგი (გივი)**
6. **თედორაძე რამაზი**
7. **ლალიაშვილი ნიკოლოზი**
8. **ლორთქიფანიძე დიმიტრი**
9. **მინაშვილი აკაკი**

2008-11-22 19:02

რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის 2008 წლის 22 ნოემბრის სხდომის სტენოგრამა

I ნაწილი

(სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დიმიტრი სანაკოევი)

2008-11-22 19:02

რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის 2008 წლის 22 ნოემბრის სხდომის სტენოგრამა

სხდომას თავმჯდომარეობს დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე პ. დავითაია

თავმჯდომარე.მოგესალმებით ყველას, დიდი მადლობა ყველას მობრძანებისათვის. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ბატონ დიმიტრის მობრძანებისათვის. როგორც ცნობილია, ბატონო დიმიტრი, შექმნილია დროებითი საპარლამენტო კომისია, რომელიც სწავლობს აგვისტოს პრობლემებს. აქედან გამომდინარე, თქვენ მზადა ხართ თუ არა ითანამშრომლოთ საპარლამენტო კომისიასთან და თქვენი კომპეტენციის ფარგლებში მოგვაწოდოთ ინფორმაცია.

დ.სანაკოევი. გმადლობთ. მე მზად ვარ ვუპასუხო ყველა კითხვას, რომელიც აინტერესებს პატივცემულ კომისიას. უპირველეს ყოვლისა, მოგესალმებით თქვენ და თქვენს მუშაობას. მე ვფიქრობ, რომ უახლოეს მომავალში ჩვენთან ყველაფერი, ნუ, ყველაფერი გაირკვევა.

თავმჯდომარე. დიდი მადლობა, ბატონო დიმიტრი. ჩვენ, ჰო, არა, ჩვენ მოვილაპარაკეთ მუშაობის სტილზე. ბატონმა დიმიტრიმ თქვა, რომ ქართულად, მაგრამ ის საკითხები, რომელიც, ვთქვათ, იქნება გაურკვეველი, თარჯიმანი უთარგმნის და ქართულ რეჟიმში იქნება ბატონო ნუგზარ, რამეს ხომ არ ვამატებთ.

თვითონ რუსულად ილაპარაკებს , მე მგონი.

თავმჯდომარე. ჰო, თვითონ, თქვენ რუსულად შეგიძლიათ პასუხი, გასცეთ იმიტომ, რომ რუსული ენა ყველას

გვესმის და ოფიციალურად თარგმანი მერე იქნება. ბატონო დიმიტრი, სანამ, ჩვენი მუშაობის სტილი მდგომარეობს იმაში, რომ იქნება დასმული კითხვები რამოდენიმე მიმართულებით ბლოკების სახით და თქვენ ამ კითხვებს გასცემთ პასუხს. პირველ რიგში, ჩვენ გვაინტერესებს ის ადმინისტრაციული ერთეული ცხინვალისა, რეგიონის, რომელიც, დროებითი ადმინისტრაცია , რომელსაც თქვენ ხელმძღვანელობთ, ცნობილი არის ამ ადმინისტრაციის შექმნის საფუძველი. თქვენ, როგორც ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ამ პერიოდში, კონფლიქტამდეა საუბარი, აგვისტომდე და თქვენზე იყო განხორციელებული ტერორისტული აქტი, ეს ცნობილი ფაქტია , ჩვენ გვაინტერესებს, რა ინფორმაციებს ფლობდით თქვენ აგვისტოს მოვლენებამდე, თუ როგორ იძაბებოდა ვითარება , თუ რა ქმედებების განხორციელებას ატარებდნენ , აპირებდნენ სეპარატისტები. ამ ინფორმაციას თუ ფლობთ, ვის ახსენებდით თქვენ ამ ვითარებასთან დაკავშირებით, ვის აყენებდით საქმის კურსში, იმ ინფორმაციიდან გამომდინარე , ვისთანაც აი ეს თქვენ მოიპოვებდით და აი ის სიტუაცია აგვისტომდე, რაც იყო და შემდგომ უკვე გადავალთ აგვისტოს მოვლენებზე.

დ.სანაკოევი. გმადლობთ.

თავმჯდომარე. ბოდიში, ქალბატონი ხათუნა დაამატებს ერთს ...

ხ.გოგორიშვილი. მოგესალმებით, ბატონო დიმიტრი. ჩვენ ასეთი წესი გვაქვს მუშაობის, რომ ვსვამთ შეკითხვებს და შემდეგ, თქვენ ასე ვთქვათ,მთელ ბლოკს შეკითხვებისას უშუალოდ უპასუხებთ. მე მაქვს ორი შეკითხვა, თქვენთან. პირველი ეს მინდა, შეგეკითხოთ, სად ბრძანდებოდით 6 და 7 აგვისტოს და მოგვიყვეთ თქვენი ქმედებებისა და თქვენი აქტივობების შესახებ, და მეორე შეკითხვა, მე მაინტერესებს , როგორც ყველასთვის ცნობილია 8–ში, იყო ინიციატივა, თქვენი ინიციატივა, ჩვენ , წინა სტუმრებმა, რომლებიც იყვნენ წინა, თანამდებობის პირებმა, რომლებიც იყვნენ, ჩვენთან კომისიაზე გვითხრეს, რომ ცეცხლის შეწყვეტის ინიციატივა ეს იყო პირადად თქვენი ინიციატივა და იქნებ, მოგვიყვეთ დეტალურად 8–ში, ამ თქვენი ინიციატივის შესახებ და იმ მდგომარეობის შესახებ, რომელიც ამას ახლდა თან. გმადლობთ.

დ.სანაკოევი. ღამის თორმეტ საათზე ქართული პოლიციის გორის სამმართველოს წარმომადგენლებმა გამაჩერეს, ვინაიდან სარაბუკში მდებარე ჩვენი ძალების საგუშაგო უკვე მასირებული ცეცხლის ალყაში იყო ამ დროისთვის და ამ მიმართულებით გადაადგილება უსაფრთხო არ იყო. 6–ში საღამოს დავბრუნდი თბილისში, შემდეგ ისევ ვაპირებდი ხეობაში გამგზავრებას, მაგრამ შემატყობინეს, რომ პრეზიდენტს უნდა შევხვედროდი. ეს შეხვედრა საღამოს 7–ის ნახევარზე შედგა, ჩვენ ვისაუბრეთ სამხრეთ ოსეთში არსებულ პრობლემაზე, იქ შექმნილ ვითარებაზე, შემდეგ სამსახურში გავემგზავრე, იქ მოვისმინე პრეზიდენტის პირდაპირი მიმართვა, შემდეგ ჩვენ ჩვენი ინიციატივით გამოვედით განცხადებით, როდესაც სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას მოვუწოდეთ ყურად ეღოთ საქართველოს ხელისუფლების მიმართვა ერთიანი სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე. დაახლოებით 12 საათისთვის დამიკავშირდა ხეობიდან ჩემი თანამშრომელი, შინაგან საქმეთა მინისტრი ჯემალ ქარქუსოვი და შემატყობინა, რომ თამარაშენს ცეცხლი გაუხსნეს. ამის შემდეგ დაიწყო უკვე. . .

თავმჯდომარე. ბატონო დიმა, თქვენ იმ მომენტში, თქვენ აი იმ მომენტში, რასაც თქვენ ყვებით, შემდგომ იმყოფებოდით გორში, ხომ, თუ სად იყო თქვენი, სად გაჩერდით და საიდან ახორციელებდით მართვას?

დ.სანაკოევი. რაც შეეხება მოვლენებს, რომლებიც განვითარდა უშუალოდ კონსტიტუციური წყობის . . . ღამის ოთხ საათზე თბილისიდან გავემგზავრე გორში, ვიმყოფებოდი ადგილობრივ შტაბში, შინაგან საქმეთა სამმართველოში.

თავმჯდომარე. უკაცრავად, ბატონო დიმიტრი, თქვენ გულისხმობდით თქვენი რეგიონის კონსტიტუციურ წყობას...

დ.სანაკოევი. დიახ, უკაცრავად. დილის რვა საათზე იბომბებოდა გორი და მისი შემოგარენი, 12 საათზე უკვე შემოდიოდა ზარები ცხინვალიდან, მიკავშირდებოდნენ ადამიანები, რომლებმაც სარდაფებს შეაფარეს თავი. ამავე დროს ხეობის თავზე რუსული თვითმფრინავები გამოჩნდა, რომლებსაც ფორსაჟი ჰქონდათ ჩართული და ამით აშინებდნენ მოსახლეობას, ნაღმებს მაშინ ჯერ არ ისროდნენ, მაგრამ მასირებული ცეცხლი ჰქონდათ გახსნილი კეხვის, სამდისის მიმართულებით, სადაც უკვე იყო მსხვერპლი და დანგრეული სახლები. მაშინ მე მივმართე შტაბის ხელმძღვანელობას ინიციატივით იმის თაობაზე, რომ შექმნილიყო პირობები როგორც ქართველი, ისე ოსი ეროვნების მოსახლეობის ცეცხლის ზონიდან გამოსაყვანად. დაახლოებოთ ორი საათისთვის მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ამის თაობაზე და ჯარისათვის ამის შესატყობინებლად სამხედრო ნაწილს მივმართეთ და 3 –დან 6 საათამდე. ეს პირადად ჩემი ინიციატივა გახლდათ, გავსულიყავით და ხალხისთვის გვეთქვა, რომ დაეტოვებინათ იქაურობა. სხვა გამოსავალი არ იყო, ვინაიდან ერედვისა და კეხვის შემაერთებელი

შემოვლითი გზა მუდმივად ცეცხლის ალყაში იყო.

თავმჯდომარე. თქვენ სად იმყოფებოდით?

დ. სანაკოევი. ამ მომენტში მე ვიყავი გორში, შტაბში.

თავმჯდომარე. შტაბი, რომელიც იყო, იმაში, გორში, თქვენ აქ სამოქალაქო შტაბზე საუბრობთ თუ სამხედრო შტაბზე?

დ.სანაკოევი. სამხედრო შტაბი იყო ,ალბათ, იმიტომ, რომ ორი მინისტრი იქ იყვნენ, მერაბიშვული იყო იქა და კეზერაშვილი იყო.

თავმჯდომარე. გენერალური შტაბის უფროსი?

დ.სანაკოევი. გენერალური შტაბის უფროსი. . .არ მინახავს, იქ იყვნ ენ სხვადასხვა . . მეთაურები, რეზერვი

თავმჯდომარე. გასაგებია. ბატონო დიმიტრი, ფაქტიურად, თქვენი აზრით, იყო თუ არა სხვა გზა, სხვა გზა მშვიდობიანი მოსახლეობის გამოყვანის ქართული სოფლებიდან, რომელიც იყო ცხინვალის ირგვლივ, რომ შეიარაღებული ძალები არ შესულიყვნენ ცხინვალში და სხვა გზით ემოქმედათ. ამის თეორიული შანსი იყო?

დ.სანაკოევი. არ იყო იმიტომ, რომ მარტო ერთი გზა არის იქა, . . .სხვა არის მხოლოდ ტყის ბილიკები, მაგრამ ხალხი 8–ში საღამოს უკვე მასობრივად ტოვებდა სოფლებს, ძირითადი მასა 9 –ში გამოვიდა და სხვა შემოვლითი გზა არ არსებობდა ,გარდა იმ გზისა, რომელიც ქალაქის გავლით გადის. ამ დროს ჩვენ ვითხოვდით, რომ ხალხი გამოსულიყო, ყველა, ჩვენ არ განვასხვავებდით ოსებსა და ქართველებ.

თავმჯდომარე. ეს, ქალაქიდან რომ გამოსულიყვნენ ხომ?

დ. სანაკოევი. მარტო ერთი გზა არის იქიდან, რა. რომ სწორედ გორის მიმართულებით გასულიყვნენ, არის ქარელისკენ გასასვლელიც – ზნაურისკენ, მაგრამ ეს სხვა მიმართულებაა და ჩვენ მას არც განვიხილავდით. ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო, უსაფრთხო დროის შუალედი, რომ ეს ხალხი გამოსულიყო.

თავმჯდომარე. ბატონო დიმიტრი, თქვენ რომელ რიცხვამდე იმყოფებოდით გორში და როდის ჩამოხვედით თბილისში.

დ. სანაკოევი. 9–მდე,ესე იგი, 8–ში საღამოს აქ ჩამოვიყვანეთ ხალხი ავტობუსებით, ავტობუსები უკან, გორში გავაგზავნეთ, დილით მე კვლავ გორში გავემგზავრე, დაახლოებით 7 საათზე იქ ვიყავი. დღისით ადგილზე ვიმყოფებოდით, როცა შტაბი ააფეთქეს, რომელშიც ჩვენი ხელმძღვანელობა იმყოფებოდ. ამის შემდეგ, 4 საათზე დავიწყეთ ჩვენი ხალხის მასობრივი გამოყვანა. საღამოს 9–ში უკვე თბილისში ვიყავი და 10–ში შევუდექი ამ ხალხის განთავსებას. კანცელარაშიც გვქონდა გადასაწყვეტი საკითხები და 10 – ში უკვე აქ ვიმყოფებოდი.

თავმჯდომარე. ბატონო დიმიტრი, თქვენ...

დ. სანაკოევი. 9–ში საღამოს კი იქ ვიყავი.

თავმჯდომარე. ბატონო დიმიტრი, თქვენ, როგორც ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ვისთან გქონდათ კონტაქტი, პრემიერ–მინისტრთან, სახელმწიფო მინისტრთან დადგენილების მართვის საკითხებში, ვისთან გქონდათ უშუალო კონტაქტი მოვლენებთან დაკავშირებით, თუ ეს შტაბში წყდებოდა მხოლოდ და მხოლოდ სადაც თქვენ იმყოფებოდით.

დ.სანაკოევი. იგი, ამ საომარი მოქმედებების დროს მე კავშირი მქონდა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და თავდაცვის სამინისტროსთან . სხვა კავშირები აქ, პრემიერ–მინისტრს არ დავკავშირებივარ, ლტოლვილების თაობაზე დავუკავშირდი დავით ტყეშელაშვილის თანაშემწეს, ჩვენ შევხვდით , მე და ჯამბული . . .

თავმჯდომარე. სახელმწიფო მინისტრის თანაშემწეს.

დ.სანაკოევი. დიახ და შემდეგ უშუალოდ შევხვდი კახა ბენდუქიძეს, ასევე ლტოლვილების საკითხთან

დაკავშირებით. ეს იყო უკვე 10–ში, ან 11– ში, ზუსტად მიძნელდება.

---------- ბატონო დიმიტრი. ის სიტუაცია, რომელიც შექმნილი იყო და რეალურად სჩანდა, რომ აგრესია არ ჩერდება, თქვენი აზრით როგორც ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, რატომ, რამ გამოიწვია ის, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალები იგივე სეპარატისტებთან ერთად მოძრაობდნენ გორის მიმართულებით.

დ.სანაკოევი. ჩემი აზრი რომ მოგახსენოთ, მე ამიტომ ვამბობ, რომ ეს პირობები ჯერ კიდევ კონფლიქტამდე განიხილებოდა კოკოითის მიერ, რომ გორს დაბომბავენ, ჩატარდება წმენდა, სადამსჯელო ღონისძიებები, განდევნიან ადგილობრივ მოსახლეობას. .

---------- ვისთან ლაპარაკობდა ამას, თქვენ საუბრობთ მედიის განცხადებებზე თუ უშუალო მოლაპარაკებებზე ვიღაცასთან, ვისაც ჰქონდა კოკოითის, ვისთან ლაპარაკობდა ამას.

დ.სანაკოევი. კოკოითი? კოკოითი ლაპარაკობდა"პროსტო"მედია, მედიაზე, ჰო და კიდევ შემიძლია დავაამატო, რომ თუ კონფლიქტის სათავეებზე ვისაუბრებთ, ეს 2004 წლამდე იწყება, მე ვარ თვითმხილველი, მოწმე იმისა, თუ როგორ ჩამოდიოდნენ რუსი ინსტრუქტორები ცხინვალში შეიარაღებული ფორმირებების მოსამზადებლად.

---------- ეს ძალიან მნიშვნელოვანია და იმიტომ დეტალურად ...

დ.სანაკოევი. აუცილებლად, დეტალურად, ეს არის ფაქტები, მე პასუხს ვაგებ ჩემს სიტყვებზე. ამ შეიარაღებული ფორმირებების შექმნისას ისინი ამბობდნენ, რომ უნდა შეიქმნას პირობები გენოციდის ფაქტის აღიარებისათვის, იმისათვის, რომ ვცნოთ გენოციდი, უნდა დაფიქსირდესო და საამისოდ 500–600 ადამიანი უნდა დაიღუპოსო. საღად მოაზროვნე ოსებს ვერ გაეგოღ და ჩვენთვისაც გაუგებარი იყო ამგვარი პირობა, რას ნიშნავს, ამდენი ჩვენგანი უნდა დაიღუპოს, რომ გვაღიაროთ. თუ გინდათ, რომ გვცნოთ, რა საჭიროა ამგვარი რამ? ანუ თუ რამეს აპირებთ, ახლა გვცანით და მერე გადავწყვიტოთ, მაგრამ ფაქტია, რომ რისი გაკეთებაც სურდათ, იმას აკეთებდნენ იქიდან მოყოლებული. 2003 წელს მათ მიერ მოზიდულ იქნა მძიმე შეიარაღება, ჩვენ ამის მოწმენი ვართ, როგორ ჩამოყავდათ ტანკები, შეიარაღება, აფინანსებდნენ შეიარაღებულ ძალებს.

თავმჯდომარე.. უკაცრავად, ბატონო დიმიტრი, ვინ აფინანსებდა ოსურ ჯარს?

დ.სანაკოევი. რუსული ბიუჯეტი პირდაპირ.

თავმჯდომარე..... მჭიდრო ნაბიჯები .....

დ.სანაკოევი. ეს ფაქტები – რუსეთისაგან ფინანსირება იწყება 2004 წლიდან, როცა იყო შეიარაღებული კონფლიქტი, შეიარაღებული ფორმირებები იმ დროს ჩამოყალიბდა და იმ დროიდან აფინანსებენ.

თავმჯდომარე. ბატონო დიმიტრი, ...

დ.სანაკოევი. მათ ჰქონდათ ასეთი სქემა – ადგილობრივ პარლამენტში გამოჰქონდათ ბიუჯეტი, ამ ბიუჯეტის შემოსავლები შიდა რეზერვებიდან მინიმალური იყო – დაახლოებით ერთი ან ერთნახევარი პროცენტი, დანარჩენის ფინანსირება კი პირდაპირ რუსეთის ბიუჯეტიდან ხორციელდებოდა შესაბამისი სტრუქტურების მეშვეობით.

თავმჯდომარე. თქვენ გაქვთ აი, ეს დოკუმენტები თქვენს ადმინისტრაციას, აი, რაც თქვენ ეხლა თქვით. საუბარი არის რუსული ბიუჯეტის დაფინანსებაზე, ვთქვათ, სეპარატისტების, რამე დოკუმენტის მაგვარი ....

დ.სანაკოევი. ეხლა არა მაქვს. შვეცდები მოვიპოვო, მაგრამ ისეთი დოკუმენტია, იქნება იგივე, უბრალოდ, ქაღალდზე გაწერილია ეს შემოსავლისა და გასავლის მუხლები, იურიდიულ დოკუმენტად ეს ვერ გამოდგება.

თავმჯდომარე.. არა, გასაგებია და ამიტომ ვიძახით, ის დოკუმენტი, რომელიც მათ აქვთ გაკეთებული მათი მხრიდან ამაზე მაქვს, ამასაა ხაზს რომ ვუსვამ. ძალიან მნიშვნელოვანი იქნება თუ მოგვაწვდით ამ დოკუმენტს.

დ.სანაკოევი. ვეცდები,

ა. მინაშვილი. ბატონო დიმა, გარდა დაფინანსებისა, როგორ ერეოდა რუსეთის ფედერაცია თვითონ ცხინვალის

რეგიონის მართვაში. ანუ აქ არის საუბრები, რომ უშუალოდ ნიშნავდნენ ოფიციალური თანამდებობის პირებს.

დ.სანაკოევი. ვერ გავიგე, ბოდიში. დიახ ეს უტყუარი ფაქტია. ეს იწყება იმ დროიდან, როცა ადგილობრივი ადმინისტრაციის ძალოვან სტრუქტურებში თანამდებობებზე პირდაპირ მოსკოვიდან ინიშნებოდა ხალხი. საუბარია ბარანკევიჩზე, ლაპტევზე, იგივე ივანოვზე – ეს არის მისი ნამდვილი გვარი, იქ კი ლაპტევად მოიხსენიებოდა, იქაური თავდაცვის მინისტრი იყო. იგივე შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროსაც, ეს სულ ის ხალხია, რომელიც იმ სამმართველოდან ინიშნებოდა, რომელიც სამხრეთ ოსეთის მიმართულებას კურირებდა. ეს მე ვთვლი, რომ პირდაპირი მოქმედება იყო რუსეთის ფედერაციის მხრიდან, რომელიც იქ დასანიშნ ხალხს წარადგენდა, რომლებიც პასუხს აგებდნენ ყველაფერზე, რაც იქ ხდებოდა. ამიტომ ადგილობრივი ხალხი, ვინც არ ეთანხმებოდა იმ პოლიტიკას, ყველა ჩამოიცილეს, მიმართავდნენ შანტაჟს, მუქარით აიძულებდნენ დაეტოვებინათ იქაურობა. და ეს ხალხი, რომელზეც მოგახსენებთ, ინიშნებოდა და წყვეტდა ყველა საკითხს, რომელიც ეხებოდა იგივე გორის ფორმირებებს, იგივე პოლიტიკას, რომელსაც იქ ატარებდნენ. მას შემდეგაც კი, როცა მე აქეთ გადმოვედი, ჩემს მეგობრებს აკითხავდნენ იქაური უშიშროების კომიტეტიდან და დიდძალ თანხებს სთავაზობდნენ ჩემს დასაბრუნებლად. მათთვის წარმოუდგენელი იყო, რომ ასეთი რანგის ადამიანი გამოდის და საუბრობს სულ სხვა პოლიტიკაზე და ისინი პირდაპირ აცხადებდნენ, რომ ხელიდან გაუშვეს შანსი, როცა მე აქეთ გამომიშვეს. მათთვის ეს იყო კატასტროფა.

თავმჯდომარე. გვარი დავასახელოთ, რა.

რ.თედორაძე. რამაზ თედორაძე, ძირითადად, ე. წ. ფორმირებებში ცხინვალის რეჟიმის, პროცენტულად დაახლოებით რა რაოდენობას შეადგენდნენ კაზაკები და ჩრდილოკავკასიელები, თვითონ ფიზიკურად ამ შეიარაღებულ ნაწილებში და თუ მოხდა აი, აგვისტოს დასაწყისში, კონფლიქტის წინ დამატებითი შემოდინება ამ ე.წ. "ბოევიკებისა" და მოხალისეების.

დ.სანაკოევი. რაც შეეხება ამ მოხალისეებს, ღამით ჩვენ უკვე ტელეფონის საშუალებით ვუკავშირდებოდით ცხინვალს, შევიტყვეთ, რომ პირველი მოხალისეები, რომლებმაც ღამის 3 საათზე მოასწრეს ცხინვალში ჩასვლა, მათი დიდი ნაწილი, პრაქტიკულად, იმ ღამით დაიღუპა. ეს ის მოხალისეები იყვნენ, რომლებიც საჩქაროდ შეკრიბეს იმავე ღამეს, როცა ეს დაიწყო, და პირდაპირ იქ გააგზავნეს. ამის მერე, ღამის 3 საათის მერე, როცა კოკოითმა საზღვარი გადაჭრა და ჯავაში დარჩა, იქ რუსული ჯარი ჩადგა და ღამით იქით აღარავის უშვებდნენ. აღარავითარი შესაძლებლობა აღარ იყო იქ მოხვედრის, ძალიან ბევრი მოხალისე იყო ცხინვალში მოხვედრის მსურველი, მაგრამ მათ იქ აღარ უშვებდნენ. მერე უკვე, რა თქმა უნდა, შევიდნენ 8 და 9 რიცხვში, რუსეთის ჯარი რომ შედიოდა, მასთან ერთად და ძარცვასა და ყაჩაღობას შეუდგნენ გორში, ძირითადად მოხალისეები აკეთებდნენ ამას.

თავმჯდომარე. ბატონო დიმიტრი, ზუსტად თქვენ შეგიძლიათ თქვათ აი როკის გვირაბიდან როდის დაიწყო შემოსვლები და იყო თუ არა 7 რიცხვამდე იქ განლაგებული რუსეთის შეიარაღებული ძალები, რაც თქვენ გაგაჩნიათ ინფორმაცია?

დ.სანაკოევი. ნუ, კადრები, ასე ვთქვათ, ფოტოები მე არ მაქვს, მაგრამ შემიძლია ზუსტად დავადასტურო, რომ 7–ში კი არა, უკვე 2 და 3 რიცხვში რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები – ჯარისკაცები განათავსეს ჯავის ზემოთ მდებარე სოფელ გალაუნთასთან, სადაც ადრე უკვე ააშენეს ბაზები. 5 და 6–ში, როცა სამშვიდობოებს გაუხსნეს ცეცხლი სარაბუკის გორაზე? მათი ტექნიკა იყო გამოყენებული, ანუ ეს საჯარისო ფორმირებები მდინარე ლიახვის გაღმა მხარეს იქნა გადაყვანილი. რუსეთის შეიარაღებული ძალების მოწინავე ნაწილები იმყოფებოდნენ, შემიძლია სასამართლოში დავადასტურო, 7 რიცხვზე ადრე. როცა პირველად გზა გადაკეტეს 7– ში ღამით, ეს იყვნენ რუსები, რუსული ჯარი იდგა იქ და მათი ავანგარდი – 58– ე შენაერთი უკვე ჯავაში იმყოფებოდა. ძირითადი კოლონა უკვე 7–სა და 8 ში შევიდა. არსებობს კადრები, რომლებიც "ენ ტე ვე"– თი გადმოსცეს, დილის ცხრა საათზე 8–ში ასახულია, როგორ გადმოდის რუსეთის ჯარი ქურთას ხიდზე და ზაკვის გზით გარბოდნენ, გადიოდნენ კადრები, ფაქტები არსებობს.

-------- თქვენ საუბრობთ იმ ჯავის ბაზაზე, რაც ააშენეს მაგათმა

დ.სანაკოევი. დიახ, ამ გზით. დიახ, ეს ხალხი 5 –სა და 6–ში უკვე იქ იმყოფებოდა, ხოლო როცა გზა გადაკეტეს, 7–ში და 8 –ში დილიოთ, რუსეთის ტანკები, რუსული შეიარაღებული კოლონა შემოვლით მოდიოდა ზაკვის გზაზე. ეს იყო დილის 9 საათზე. ეს ფაქტი შეიძლება დაფიქსირდეს, გადმოიწეროს ტელევიზორიდან.

ხ. გოგორიშვილი. მე, გამომდინარე იქიდან, რომ ბატონო დიმიტრი, თქვენ ბრძანეთ, რომ ძირითადი თქვენი საქმიანობა იყო იმ ადამიანების მოვლა, რომლებმაც დატოვეს ხეობა და ჩამოვიდნენ თბილისში. მე მაინტერესებს დღევანდელი მდგომარეობა ამ ადამიანებისა, თქვენი ადმინისტრაციის საქმიანობა ამ

მიმართულებით და საერთოდ რა მდგომარეობა არის ამ ადამიანების ეხლანდელ პირობებთან დაკავშირებით?

დ.სანაკოევი. როგორც მოგეხსენებათ, ხელისუფლებამ, მთავრობამ, გამოყო სახსრები ლტოლვილებისათვის, იძულებით გადაადგილებულ პირთათვის საცხოვრებლის უზრუნველსაყოფად. ცხრა რაიონში შენდება მათთვის სახლები. ამჯამად ისინი განთავსებულნი არიან ქ. თბილისის საბავშვო ბაღებსა სკოლებში. ნაწილი ბორჯომის რაიონში იმყოფება, ნაწილი კახეთში, ნაწილი – მცხეთა–მთიანეთში. ჩვენ ვცდილობთ ისინი სრულად დავაკმაყოფილოთ საცხოვრებელი ფართით. არის კიდევ ხალხი, რომელიც თავის დროზე ცხინვალში, ცხინვალის რეგიონში დაბრუნდა და შედეგად უკვე მეორედ იქცა ლტოლვილად. ასეთი ხალხიც გვყავს და ისინიც ლტოლვილთა რიცხვს განეკუთვნებიან. და მთელ ამ საქმიანობას ამჟამად ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო ეწევა, ადგილობრივი ადმინისტრაციები –მუნიციპალიტეტები და შესაბამისი სამინისტროები. ასე რომ, ამ შემთხვევაში, ჩვენ უბრალოდ კოორდინაციას ვუწევთ ამ ღონისძიებებს, სადაც გვაქვს იმ მოქალაქეთა განცხადებები, რომლებსაც დახმარება სჭირდებათ, ხელს ვუწყობთ ამ საკითხების გადაწყვეტას შესაბამისი სამთავრობო სტრუქტურების დახმარებით.

--------- ბატონო დიმიტრი, თქვენ თუ გაქვთ მონაცემები რამდენი თქვენი რეგიონიდან, რომელსაც თქვენ ხელმძღვანელობთ, რამდენი ათასი ადამიანი არის დევნილი და რამდენია აქედან, ვთქვათ ოსი ეროვნების და ქართველი ეროვნების?

დ.სანაკოევი. ახალგორის რაიონის გარდა, რადგან მერე უკვე ამ რაიონში აღრიცხვას აღარ ვაწარმოებდით, ნაწილობრივ, მე შემიძლია დავადასტურო, ფაქტიურად ჩვენ 10–11 რიცხვისათვის დავაფიქსირეთ 16400–ზე მეტი ადამიანი, სამი ხეობიდან თიღვის, დიდი და პატარა ლიახვის ხეობებიდან. ჩვენ არასდროს არ დაგვიყვია ისინი ოსებად და ქართველებად, ყველა ოსი, რომელიც კონფლიქტის შემდეგაც იქ დარჩენილი ოსური ოჯახები გამოვიყვანეთ. ეს იძულებით გადაადგილებული. . . ეს ფაქტები ჩვენ გვაქვს, აგერ ერთი კვირის წინ ჩვენ ავნევიდან გადმოვიყვანეთ ოსი ქალები.

ამას, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმიტომ, რომ .....

დ.სანაკოევი. ეს ფაქტი, ზედმიწევნით, გვარების მითითებით შემიძლია მოგაწოდოთ უკვე ხვალვე. ეს პრობლემას არ წარმოადგენს.

თუ შესაძლებელი არის, რომ ხაზი გაუსვათ იმას, რომ თქვენ მოგაწოდოთ მასალები ოსი ეროვნების მოსახლეობაზე, რომელიც იძულებული იქნა წამოსულიყო ამას დიდი მნიშვნელობა აქვს იმიტომ, რომ ფაქტიურად ..... რომელიც განხორციელდა ეს აქ არ შეიძლება გაიყოს ეს ქართულ და ოსურ აქ არის ადგილობრივი მოსახლეობაზე, საქართველოს მოქალაქეებზე, რომელიც იძულებული გახდენ დევნილი ყოფილიყვნენ რუსული და სეპარატისტული რეჟიმების გამო.

დ.სანაკოევი. მაშინ ორშაბათს დღის სამი საათისთვის წარმოგიდგენთ ამ სიებს.

დ.ლორთქიფანიძე. ბატონო დიმიტრი, პირველ რიგში, მე მინდა შეგეკითხოთ, რომ ჩამოგვითვალოთ დროებითი ადმინისტრაციის შემადგენლობა, ადმინისტრაციის მუდმივი დისლოკაციის ადგილი გვითხრათ სად იმყოფებოდა, ნუ, ეს ადმინისტრაცია, სად იყო განლაგებული და საომარი ვითარების პერიოდში როდის იქნა დატოვებული მუდმივი დისლოკაციის ადგილი იმიტომ, რომ თქვენ ბრძანეთ, რომ ბატონმა ჯემალ ქარქოსოვმა დაგირეკათ დილის 8 საათზე, ხეობიდან.

დ.სანაკოევი. დილის არა საღამოს პირველ საათზე, არა პირველ კი არა, 12 საათზე, საღამოს.

დ.ლორთქიფანიძე. ა, ღამით?

დ.სანაკოევი. ღამით იყო, ჰო.

დ. ლორთქიფანიძე. დიახ, ესე იგი, ამ კითხვასთან დაკავშირებით ეს ერთი. და აქვე მინდა გკითხოთ, რომ გაგაჩნდათ თუ არა დროებით ადმინისტრაციას, გააჩნდა თუ არა მოსახლეობის ევაკუაციის გეგმა და იყავით, იხელმძღვანელეთ თუ არა ამ გეგმით? ..... ე.ი. გაგაჩნდათ.

დ.სანაკოევი. ე.ი. ჩვენი ადმინისტრაცია იმყოფებოდა ქურთაში, ეს დიდი ლიახვის ხეობაშია. ქურთაში იყო ჩვენი ადგილი, იქ ჩვენ გვქონდა ჩვენი ადმინისტრაცია, იქ იმყოფებოდა მთელი აპარატი, რომელსაც ჩვენ

ვხელმძღვანელობდით. რაც შეეხება იმ საკითხებს, უნდა გამოვსულიყავით თუ არა, ჩვენ არ გვქონდა არავითარი გეგმა, ჩვენ არ ვემზადებოდით ომისთვის, ჩვენ არ გვქონდა ისეთი გრძნობა, რომ ევაკუაცია მოგვიწევდა. ფაქტობრივად 4 რიცხვში, როცა ცეცხლის ალყაში მოექცა ეს ხეობა, ჩვენ შევუდექით ეტაპობრივ. . . . მაგრამ ეს არ იყო არანაირად დაგეგმილი. ჩვენ ვერც წარმოვიდგენთით, რომ ჩვენი სოფლებიდან გამოსვლა მოგვიწევდა. ხალხს არ სურდა სახლების დატოვება. ასეთი ფაქტებიც იყო 8 რიცხვში. ჩვენს ადმინისტრაციას ჰქონდა თავისი ტექნიკა, ავტომანქანები, ავტობუსები, რომლებითაც გამოვიყვანეთ ლტოლვილების პირველი კოლონა. ეს ლტოლვილები ჩამოვსვით ტირძნისში და დავბრუნდით ერედვში და ხალხი, რომელიც ფეხით მოდიოდა, ჩაგვყავდა გორში. ამიტომ, რომ ვთქვათ რომ დაგეგმილი, ჩვენ გვქონდა რაიმე გეგმა, ასე არ იყო. უბრალოდ, ეს ყველაფერი ხდებოდა იმის ფონზე, თუ როგორ ვითარდებოდა სიტუაცია ზონაში. რაც შეეხება 8 და 9 რიცხვს, ჩვენი ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა უკვე დატოვეს ხეობა

თავმჯდომარე. კიდევ თუ არის შეკითხვები ბატონ დიმიტრისთან?

ა. მინაშვილი. ბატონო დიმიტრი, ერთ–ერთი მიზანი ამ კომისიის არის გამოვიკვლიოთ, რომ შეეძლო თუ არა საქართველოს ხელისუფლებას აი, ამ კონფლიქტის არიდება, ამ აგრესიის არიდება. მე მაინტერესებს, რას სთავაზობდით თქვენ, როგორც ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ოსურ მოსახლეობას, რა სამშვიდობო ინიციატივები გქონდათ კონფლიქტამდე და რა, ... რას სთავაზობდით მათ საქართველოს ფარგლებში, საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში.

დ.სანაკოევი. რაც შეეხება საქართველოს ხელმძღვანელობის ინიციატივებს, ისინი ყველასათვის თვალსაჩინო და ცხადი იყო, ეს იყო წინანადებები მშვიდობიანი გადაწყვეტის თაობაზე. პირველ რიგში, აქ იყო უსაფრთხოების გარანტია, აქ იყო საერთო სახელმწიფოს ერთობლივი მშენებლობის პირობა, საერთო პარამეტრებით. ეს არაფრით არ აწყობდა ცხინვალის ხელისუფლებას, ეს არ აწყობდა რუსეთს, ვინაიდან ამით კარგავდნენ სამხრეთ ოსეთზე, მთლიანად საქართველოზე ზემოქმედების ბერკეტს. ამგვარად, რაც შესაძლებელი იყო, ყველაფერი გაკეთდა. მე ვთვლი, რომ საქართველოს ხელისუფლების მხრიდან აბსოლუტურად არაფერი არ იყო იგნორირებული იმ თვალსაზრისით, რომ ეს საკითხი მშვიდობიანი გზით მოგვარებულიყო. ეს აშკარად ჩანს ყველაფერში, სხვა საქმეა, როგორ აღიქვამდნენ ამ ყველაფერს ცხინვალში. ბევრი ადამიანი, კიდევ აღვნიშნავ, ძალიან ბევრი იყო მომხრე, მაგრამ მათ ეშინოდათ აზრის გამოთქმის, იმიტომ, რომ იქ იყო ტოტალიტარული რეჟიმი, ის დღესაც არსებობს. ეს აშკარაა, ამას მოწმობს პარლამენტის დეპუტატების ცემის, იქიდან გამოგდების ფაქტები. ხალხი, რომელსაც არ სურდა ამგვარ პირობებში ცხოვრება, გადადიოდა საცხოვრებლად ჩრდილოეთ ოსეტთში, მიგრაცია სამხრეთ ოსეთში ძალიან დიდი იყო. ეს სროლა, აფეთქებები, მე ვთვლი, რომ არც ერთმა სამოქალაქო საზოგადოებამ არ უნდა დაუშვას, რომ უხოცავდნენ პოლიციელებს, რიგით ადამიანებს, ძარცვავდნენ მოსახლეობას. ამიტომ ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს, ყველაფერი ოდესმე რაღაცით მთავრდება.

თავმჯდომარე. თუ არის შეკითხვები კიდევ? ბატონო დიმიტრი, მე მინდა დიდი მადლობა გადაგიხადოთ მობრძანებისათვის და თანამშრომლობისათვის. ვიტოვებ იმედად, რომ თქვენ აუცილებლად მოგვაწვდით იმ მასალებს, რომელიც თქვენ აღნიშნეთ. ეს არის მნიშვნელოვანი ძალიან. საუბარი არის იმ დევნილებზე და ხაზგასმით მინდა გავუსვა, ოსი ეროვნების დევნილებზე, რომელიც თავისი საცხოვრებელი ადგილიდან გამოუშვეს. ეს ერთი. მეორე, ის დოკუმენტი, რაც შეეხება ბიუჯეტთან დაკავშირებით, ჯარის ფინანსირებასთან დაკავშირებით და თუ შესაძლებელი არის, თუ გააჩნია თქვენს ადმინისტრაციას რაიმე მასალა, იგივე რუსული ჯარის შემოსვლასთნ დაკავშირებით. აქაა საუბარი ფოტომასალაზე ანდა რაღაც სხვა იმებზე. ჩვენ გაგვაჩნია გარკვეული, იგივე სამხედრო, კომისიას აქვს იმ ჯავის სამხედრო ბაზაზე ფოტომასალები და სხვა. თქვენს ადმინისტრაციას რაც გააჩნია, თუ გაქვთ ასეთი რაღაცა, რომ მოგვაწოდოთ, ძალიან მნიშვნელოვანი იქნება და იმ შემთხვევაში, თუ კომისიას გაუჩნდა გარკვეული კითხვები, ჩვენ აუცილებლად დაგიკავშირდებით. კიდევ ერთხელ დიდ მადლობას გიხდით მობრძანებისათვის.

დ.სანაკოევი. გმადლობთ. მე მზად ვარ, ნებისმიერ დროს, მაგრამ ფოტომასალის თაობაზე, ალბათ, ვერ მოვიპოვებ, მაგრამ რაც შეეხება სხვა საკითხებს, მე მოვემზადები და ორშაბათს დღის 2 საათისთვის წარმოგიდგენთ.

თავმჯდომარე. კომისია წყვეტს მუშაობას 6 საათამდე. 6 საათზე აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარესთან ბატონ მალხაზ აქიშბაიასთან ერთად გავაგრძელებთ მუშაობას.